დანართი N14

ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) დადასტურებული ან საეჭვო დიალიზზე მყოფი შემთხვევებისთვის

შესავალი

მოცემული ინფორმაცია ავსებს, მაგრამ არ ანაცვლებს **ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19)** პრევენციისა და კონტროლის (იპკ) ზოგად ღონისძიებებს. მოცემული რეკომენდაციები ეფუძნება დღეისთვის არსებულ ინფორმაციას COVID-19-ის შესახებ.

რეკომენდაციები

დიალიზის სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებებში დანერგილი უნდა ჰქონდეთ რუტინული იპკ წესები და პრაქტიკა რესპირატორული ინფექციების გამომწვევთა გავრცელების კონტროლის უზრუნველსაყოფად. ამ წესებს მიეკუთვნება შემდეგი:

1. **რესპირატორული ინფექციის ნიშნების მქონე პირების ადრეული გამოვლენა და იზოლაცია:**
    - დაწესებულებებში უნდა დაინერგოს საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის პოლიტიკა, რომელიც სამედიცინო პერსონალს ნებას დართავს დარჩნენ სახლში და არ გამოცხადდნენ სამსახურში ავადმყოფობის დროს;
    - რესპირატორული სიმპტომებისას (ცხელება, ხველა) პაციენტების იდენტიფიცირება უნდა მოხდეს რეგისტრატურის/მოსაცდელის ეტაპზე, სამკურნალო სივრცეში შესვლამდე;
    - პაციენტებს უნდა მიეწოდოს ინსტრუქცია, რომ მათ წინასწარ დარეკონ დაწესებულებაში რესპირატორული ინფექციის დამახასიათებელი სიმპტომების არსებობაზე შეტყობინებისთვის, რათა დაწესებულებამ დროულად მოამზადოს უსაფრთხოების ღონისძიებების გატარება ან უზრუნველყონ მათი გადანაწილება სხვა შესაბამის დაწესებულებაში (მაგ. ინტენსიური თერაპიის/კრიტიკული მედიცინის სერვისის მიმწოდებელ სტაციონარში;
    - პაციენტებმა უნდა აცნობონ პერსონალს ცხელების ან სხვა რესპირატორული სიმპტომების შესახებ დაწესებულებაში მისვლისთანავე (მაგ. მიმღებში);
    - დაწესებულებაში ყოფნისას რესპირატორული სიმპტომების მქონე პაციენტები უნდა აღიჭურვონ ერთჯერადი ქირურგიული ნიღბით; დაწესებულებებმა უნდა გააცნონ პაციენტებსა და პერსონალს ხელის ჰიგიენის, რესპირატორული ჰიგიენის/ხველის ეტიკეტის ინსტრუქციები.
    - ინსტრუქციები უნდა მოიცავდეს თუ როგორ გამოიყენონ ნიღბები, ცხვირის და პირის დასაფარი ხელსახოცები ცემინებისა და ხველისას, როგორ გადააგდონ ისინი და სხვა დაბინძურებული ნივთები სანაგვე ყუთებში და ამის შემდეგ როგორ ჩაატარონ ხელის ჰიგიენა.

- კლინიკის შესასვლელში უნდა მოთავსდეს გამაფრთხილებელი ინსტრუქციები ცხელებისა და სხვა რესპირატორული სიმპტომების მქონე პაციენტებისთვის.
- დაწესებულებებმა უნდა განალაგონ ხელის სანიტაიზერები და ერთჯერადი ცხვირსახოცები სადიალიზო სავარძლებთან და საექთნო პოსტთან, რათა უზრუნველყონ ხელისა და რესპირატორული ჰიგიენის/ხველის ეტიკეტის დაცვა.
- <u>პაციენტთა განთავსება:</u> დაწესებულების შესასვლელში რესპირატორული სიმპტომების მქონე პაციენტებისთვის გამოყოფილი უნდა იყოს მოსაცდელი სივრცე სხვა პაციენტების მოსაცდელიდან ორი (2) მეტრის მოშორებით. შესაძლებელია, მოსაცდელი სივრცის (სათანადო მიკროკლიმატური პარამეტრების დაცვით) შენობის გარეთ მოწყობა;
- დიალიზის დარბაზში პროცედურის დროს დაცული უნდა იყოს მინიმუმ 2 მეტრიანი დაშორება პაციენტებს შორის. შესაძლებლობის შემთხვევაში, სასურველია პროცედურა განხორციელდეს სხვადასხვა დარბაზებში/სივრცეებში.

2. ინდივიდუალური დაცვის საშუალებები:

სამედიცინო პერსონალი, ნებისმიერი პროცედურის დროს იყენებს სტანდარტული, წვეთოვანი და კონტაქტური უსაფრთხოების ზომებს, გარდა შემთხვევებისა, როდესაც სავარაუდო დიაგნოზი მოითხოვს აიროვანი უსაფრთხოების ზომების დაცვას (მაგ. ტუბერკულოზი).

ინდივიდიუალური დაცვის საშუალებების ნაკრები მოიცავს:

- სამედიცინო ხელთათმანებს;
- ქირურგიულ ნიღაბს;
- თვალის დამცავ საშუალებებს (მაგ. დამცავი სათვალეები, სახის ფარი), პირადი სათვალე და ლინზები არ ითვლება დამცავ საშუალებად;
- ერთჯერადი სითხეგაუმტარი ხალათი- გამოიყენება ჩვეულებრივი ხალათის ნაცვლად, ან მის ზემოდან ჩასაცმელად. თუ არის ხალათების ნაკლებობა, უნდა მოხდეს მათი პრიორიტიზაცია შემდეგი თანმიმდევრობით:
  (1) დიალიზის პროცედურის დაწყება და დასრულება,
  (2) ნემსითა და კათეტერით მანიპულაციების ჩატარება,
  (3) პაციენტის დახმარება დაწესებულებაში შესვლასა და გამოსვლაში,
  (4) მოწყობილობების გაწმენდა და დეზინფექცია.

გამოყენებული ხალათი უნდა მოთავსდეს ინფექციური ნარჩენების კონტეინერში დიალიზის დარბაზის დატოვებამდე.

3. დამატებითი ღონისძიებები COVID-19-ის დადასტურებული, ან საეჭვო პაციენტისათვის ჰემოდიალიზის სერვისის მიწოდების დროს

- პერსონალმა უნდა გაითვალისწინოს ინდივიდუალური დაცვის საშუალების გამოყენების გაიდლაინი და სხვა COVID-19 -თან დაკავშირებული რეკომენდაციები.

- დაწესებულებაში უნდა უზრუნველყონ რუტინული დასუფთავებისა და დეზინფექციის წესების ზედმიწევნით დაცვა; სამედიცინო გარემო და აღჭურვილობის ზედაპირები ექვემდებარება დეზინფიცირებას, ხოლო ერთჯერადი გამოყენების საგნები ინფექციური ნარჩენების კონტეინერში განთავსებას; დეზინფექციისთვის გამოყენებულ უნდა იქნეს სსიპ „ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ მიერ რეგისტრირებული სათანადო სადეზინფექციო საშუალებები.

- თუ დაწესებულება უტარებს დიალიზს 1-ზე მეტ COVID-19 საეჭვო ან დადასტურებულ შემთხვევას, გასათვალისწინებელია მათი კოჰორტირება - ერთად და ერთდორულად მკურნალობა (სასურველია დღის ბოლო ნაკადი);

- თუ რესპირატორული სიმპტომების ეტიოლოგია უცნობია, სხვადასხვა პაციენტების კოჰორტირება დაუშვებელია (მაგ. გრიპის და COVID-19 -ის პაციენტები).

<u>**დამატებითი ინფორმაცია:**</u>

www.moh.gov.ge
ცხელი ხაზი: 1505

www.ncdc.ge
ცხელი ხაზი: 116001

StopCoV.ge